



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

29

**მოსკოვის ინფორმაციული პოლიტიკა
და საქართველო**

ალექსანდრე რონდელი



ექსპერტის აზრი

2014



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ალექსანდრე რონდელი

**მოსკოვის ინფორმაციული პოლიტიკა
და საქართველო**

29

2014



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2014 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-7219-2

რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში

რა მიზნები ამოძრავებს რუსეთს თავის უშუალო სამეზობლოში? ცდილობს მხოლოდ რბილი ძალის გამოყენებით მოიპოვოს გავლენა თუ ესწრაფვის გაბატონდეს და ყველაფერი თავისი გავლენის სფეროში მოაქციოს? ეს არის არჩევანი პოსტ- და ნეოიმპერიალიზმს შორის. საქართველოში შემოჭრის, ყირიმისა და აღმოსავლეთ უკრაინის მოვლენების შემდეგ ძნელი არ უნდა იყოს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.

რუსეთი მეზობლებს ისე ექცევა, როგორც თავის ყოფილ კოლონიებს. მათ სუვერენულ სახელმწიფოებად არ მიიჩნევს. რუსეთს აეჭვებს, რომ მისი მეზობელი სახელმწიფოები შეძლებენ საკუთარი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

საკუთარი მიზნების მისაღწევად მოსკოვი მეზობელ სახელმწიფოებში სეპარატისტულ და ირედენტისტულ მოძრაობებს იყენებს, ამ გზით ცდილობს მეზობლების დამანტაჟებას და, თუ დასჭირდება, მათ დაანანევრებს კიდეც. ეს კარგად ჩანს მოლდოვის, საქართველოსა და უკრაინის მიმართ მოსკოვის მიდგომაში. რუსეთი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად „თანამემამულეთა“ (соотечественники) კონცეფციას იყენებს.

რბილი ძალა აუცილებელი ინსტრუმენტია ნეოიმპერიალისტური მიზნების მისაღწევად და რბილი ძალა, რომელსაც მოსკოვი თავის მეზობლების წინააღმდეგ იყენებს, ტყუილსა და დეზინფორმაციას ეფუძნება.¹

სსრკ-ის დაშლის შემდეგ მოსკოვი შეეცადა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შეენარჩუნებინა თავისი კონტროლი და ამისათვის სხვადასხვა ინტეგრაციული სქემა თუ ორგანიზაცია (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია, ევრაზიული კავშირი) შექმნა. ყველაზე ცნობილი პროექტი – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მალევე ამოქმედდა, მაგრამ წარმატება ვერ მოიპოვა. კრემლის პრობლემა იყო თავისი იმპერიალისტური მიზნები როგორმე ეკონომიკურ თუ იდეოლოგიურ სახვევში შეეფუთა, რათა მისაღები ყოფილიყო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის.

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების უმრავლესობამ კრემლის ინტეგრაციულ მოქმედებებში იმპერიალისტური მიზნები დაინახა. მოსკოვი შეეცადა დამოუკიდებლობამოპოვებელი სახელმწიფოე-

1 საქართველოს წინააღმდეგ მოსკოვის რბილი ძალის შესახებ იხ.: *Soft Power: The New Concept of Russian Foreign Policy toward Georgia*. Tengiz Pkhaldze (Editor). Mtatsmindeli, Tbilisi, 2010.

ბი თავისი სურვილებისათვის დაემორჩილებინა, რისთვისაც ე.წ. „ახლო სამეზობლოში“ სეპარატიზმის გაღვივებასა და ნახალისებას მიმართა, ასევე ზოგან გამოიყენა მუქარა თუ შანტაჟი, ზოგან კი – ეკონომიკური ბერკეტები (ემბარგო, სანქციები). მოლდოვაში, საქართველოსა და, სულ ახლახან, უკრაინაში კრემლმა საჭიროდ მიიჩნია ძალის გამოყენება.

კრემლს არასდროს მივიწყებია პოსტსაბჭოთა მეზობლების გაკონტროლების იდეა. 2000-იან წლებში კრემლმა მოსთხოვა დასავლეთს შექმნილიყო ე.წ. „უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა“ და „ევროპაში განუყოფელი უსაფრთხოება“, რაც იძულებულს გახდიდა დასავლეთს შეეფუბოდა მოსკოვის განსაკუთრებულ უფლებებს ე.წ. „ინტერესების პრივილეგიურულ სფეროში“. დასავლეთმა არ მიიღო ეს წინადადება, თუმცა 2008 წელს საქართველოში შემოჭრით რუსეთმა აჩვენა საკუთარი დამოკიდებულება, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებს არ მისცემს უფლებას ფეხი მოიკიდონ მის სამეზობლოში (გარდა ევროპას შეერთებული ბალტიის ქვეყნებისა).

მოსკოვმა, მიიჩნევს რა ტრანსატლანტიკურ ალიანსს შინაგანად სუსტ და დანაწევრებულ გაერთიანებად, ხოლო კრიზისში ჩაფლულ ევროპას – მერყევად, რომელიც ძლიერ არის დამოკიდებული რუსულ ენერგომარაგებზე, მეზობლების მიმართ პოლიტიკა გაააქტიურა და შეეცადა ჩაეთრია ისინი კრემლის შექმნილ ახალ ინტეგრაციულ პროექტში – ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში, რომელსაც კრემლის თვალთახედვით, შეუძლია შეუქმნას რუსეთს, როგორც უდიდეს ძალას, გადარჩენის პირობები და ყველაზე მნიშვნელოვანი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები მოსკოვის კონტროლს დაუქვემდებაროს. ეს კავშირი ძირითადად ემყარება რუსეთს, უკრაინას, ბელარუსსა და ყაზახეთს.

იმავედროულად რუსული ელიტა მუდმივად ცდილობდა დაედგინა ახალი რუსული იდენტობა, განესაზღვრა თავისი როლი მსოფლიოს შეცვლის პროცესში და როგორმე მოენახა თავისი იმპერიული ამოცანების იდეოლოგიური და სამართლებრივი გამართლება. რუსული სამხედრო-პოლიტიკური ელიტა კარგა ხანია მოქცეულია გეოპოლიტიკის ტყვეობაში, განსაკუთრებით ალექსანდრ დუგინის მიერ შემუშავებული რუსეთის ახალი იმპერიული ვერსიის წყალობით. მისი ე.წ. „ნეოევრაზიანიზმი“ კარგად არის ნაკვეთი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ მოსკოვის პოსტსაბჭოთა ნააზრევით. ასევე არსებობენ სხვა ავტორებიც, რომელთა იდეებიც კრემლის თავკაცებზე ძლიერ გავლენას ახდენენ. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ პიოტრ შჩედროვიცკი, ფიკლოსოფოსი, რომელიც აქტიურადაა ჩართული რუსეთის მომავალთან და განვითარებასთან დაკავშირებული იდეების შემუშავებაში. მას ეკუთვნის ძლი-

ერი იმპერიული კონცეფცია „რუსული მსოფლიო“, რომელიც რუსეთს გლობალიზებულ სამყაროში „თავის ადგილს მიუჩენს“. შჩედროვიცკის მიერ 1993-1997 წწ.-ში შემუშავებული ეს კონცეფცია დღეს კრემლის პოლიტიკოსებისა და პროპაგანდისტების ბიბლიად არის ქცეული.²

მოსკოვის საგარეო პოლიტიკის მოქმედების მთავარი მიმართულება არის პოსტსაბჭოთა სივრცე, სადაც, „რუსული მსოფლიოს“ კონცეფციის თანახმად, იმდენივე რუსი ცხოვრობს, რამდენიც თავად რუსეთში. მოსკოვმა რუსებად მიიჩნია ორენოვანი მოსახლეობაც, ისინი, ვინც ლაპარაკობს და აზროვნებს რუსულად. ამგვარად მოხვდნენ ეთნიკურად არარუსები რუსების კატეგორიაში. ეს კონცეფცია აჩვენებს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებობს გარკვეული სოციალურ-კულტურული რეალობა, ე.წ. „ცივილიზაციური სივრცე“, რომელიც ეფუძნება სამ საყრდენს: 1) მართლმადიდებლობას, 2) რუსულ კულტურასა და რუსულ ენას და 3) საერთო ისტორიულ მენსიერებასა და საზოგადოებრივი განვითარების საერთო ხედვას. ეს არის სრულიად იმპერიული ექსპანსიონისტური კონცეფცია, ოღონდ კრემლის მიერ შენიღბული ცივილიზაციური და კულტურული პროექტის საბურველით, რათა პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისი ქმედებები ლეგიტიმურად წარმოაჩინოს. თან ამ საყრდენების გამაგრება მაღალპროფესიონალური პროპაგანდით ხდება და ამას რუსული მედია შესანიშნავად აკეთებს.

„რუსული მსოფლიოს“ კონცეფციის ავტორთა აზრით, დიდი ქვეყნები გლობალიზაციის პირობებში უნდა განვითარდნენ ან კოლონიალიზაციის და ან დიასპორების ხარჯზე. მათ მხოლოდ ამგვარად შეეძლება გლობალიზაციასთან მორგება. ამ კონცეფციის დამცველთა შორის გავრცელებული მოსაზრებით, ქვეყნის გარეთ მცხოვრები რუსები და „რუსულად მოაზროვნე“ ხალხი წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის „იმუნურ სისტემას“ – ეს შესანიშნავი სახელი გამოუგონეს მოსკოვის „მეხუთე კოლონას“!

რუსული მართლმადიდებელი ეკლესია დიდ როლს ასრულებს „რუსული მსოფლიოს“ იდეის პოპულარიზაციის საქმეში.³ პატრიარქმა კირილემ მოლდოვის სამღვდლოებასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „წმინდა რუსეთი არის არა ეთნიკური, პოლიტიკური ან ენობრივი, არამედ სულიერების აღმნიშვნელი ცნება. ეს არის ფასეულობათა ერთობლიობა, ერთობლიობა სულიერი ორიენ-

2 ეს კონცეფცია პრეზიდენტმა პუტინმა პირველად ახსენა 2006 წლის ბოლოს რუსეთის ინტელიგენციასთან შეხვედრაზე, სანქტ-პეტერბურგში. ცოტა ხნის შემდეგ პუტინის N796 ბრძანებულებით დაარსდა ახალი ფონდი – „რუსული მსოფლიოს ფონდი“. ეს ფონდი, რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. ნიკონოვი, მნიშვნელოვან დაფინანსებას რუსეთის სახელმწიფოსაგან იღებს.

3 Геннадий Друзенко. Геополитика от Патриарха: Царство Небесное vs «Русский мир». «Зеркало недели», №44 (772), 14-20/11/2009

ტაციისა, რომელიც აყალიბებს ჩვენს სულიერ ერთობას, რომელიც უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური საზღვარი“.⁴ ეს არის ოსტატურად შენიღბული იმპერიალისტური ხედვა. იმავე კირილემ 2009 წელს „რუსული მსოფლიოს“ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას ტერმინი „რუსული მსოფლიო“ საერთო ჯამში 38-ჯერ ახსენა და გეოპოლიტიკური ტერმინებით გამოხატა თავისი რწმენა, რომ გაერთიანებულ „რუსულ მსოფლიოს“ შეუძლია იქცეს გლობალური პოლიტიკის ძლიერ მოთამაშედ, გაცილებით ძლიერად, ვიდრე სხვა ყველა პოლიტიკური ალიანსია. კრემლმა ნამოაყენა იდეა „გახლეჩილი რუსი ხალხის, როგორც მსოფლიოს ყველაზე დიდი გახლეჩილი ხალხისა“, რომელსაც აქვს გაერთიანების უფლება. ეს თვალსაზრისი პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა 2014 წლის 18 მარტს რუსეთის სახელმწიფო დუმისა და ფედერაციული საბჭოს წინაშე გამოსვლისას.⁵ 2014 წლის 7 მარტს რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დ. პესკოვმა ყირიმში მიმდინარე მოვლენების შესახებ კომენტარების გაკეთებისას განაცხადა, რომ ვ. პუტინი არის რუსული მსოფლიოს უსაფრთხოების მთავარი გარანტორი.⁶ მან იგულისხმა, რომ ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსკოვის პასუხისმგებლობის არეალი გაიზარდა და მისი ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე რუსეთის ფედერაციის საზღვრები.⁷ ეს ძალიან ჰგავს ჰიტლერის მოსაზრებებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ გერმანელების დაცვასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველო არ არის ე.წ. „რუსული მსოფლიოს“ ნაწილი, თუმცა ამ კონცეფციის გასაავრცელებლად ძალებს არ ზოგავს მოსკოვი და მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებული რუსული მედია. საქართველო მოხვედრილია იმ ქვეყნების კატეგორიაში, რომლის მაცხოვრებლებიცა და ტერიტორიაც „ბუნებრივად“ და გეოპოლიტიკურად მიეკუთვნება რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ორბიტას და რომელიც უნდა დარჩეს მოსკოვის კონტროლქვეშ.⁸

4 Патриарх Кирилл: Мы один народ пред богом,» Русская линия. Сводка новостей от 23 Августа 2010. <http://rusk.ru/newsdata.php?idor=43517>

5 ვლადიმერ პუტინის მიმართვა ფედერაციის საბჭოსადმი. www.echo.msk.ru/blog/echomsk/1281680-echo/

6 უკრაინაში ვითარების შესახებ რსფსრ-ის პრეზიდენტის პრესმდივნის დიმიტრი პესკოვის განცხადება. 2014 წლის 7 მარტი, TV Россия 24.

7 Наталия Нарочницкая. Русский мир шире границ самой России. «Русская линия.» 08.10.2007; Игорь Зевелев. Границы Русского мира. Трансформация национальной идентичности и новая внешнеполитическая доктрина России. «Россия в глобальной политике», Март-Апрель 2014.

8 საქართველოსთან დაკავშირებით „თანამემამულეთა“ კონცეფციის შესახებ იხ.: The “Compatriot Protection Policy of the Russian Federation and Consular Policy toward Georgia.” In *Soft Power: The New Concept of Russian Foreign Policy toward Georgia*. Tengiz Pkhaldze (Editor). Mtatsmindeli, Tbilisi, 2010, pp. 52-63.

რუსული პროპაგანდა იქცა მოსკოვის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უკიდურესად აგრესიულ, კარგად გათვლილ და ეფექტურ იარაღად. მოსკოვის პროპაგანდის მთავარი მიზანი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არის პორსტსაბჭოთა სივრცე, რომლის წინააღმდეგაც კრემლმა შეიმუშავა ინტეგრაციული გეგმები, რომლებიც გაცხადებულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების მთავარ დოკუმენტებში. ცოტა ხნის წინ მოსკოვმა შექმნა ე.წ. „რუსული მსოფლიოს“ გახმაურებული კონცეფცია, რომელიც კრემლისთვის უკვე იქცა მიზნების განხორციელების მთავარ გზამკვლევად. ამ გეგმით რუსეთის გარშემო უნდა შეიქმნას ბუფერული ზონა, შემდგარი პროტექტორატებისა და დაქვემდებარებული სახელმწიფოებისაგან.

ინფორმაციული ომი საქართველოს წინააღმდეგ

დღეისათვის აღარ მიმდინარეობს ისეთი მასობრივი პროპაგანდისტული ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ, როგორც ადრე, განსაკუთრებით 2005-2009 წლებში, საქართველოში შემოჭრისათვის მზადების პერიოდში იყო. მაგრამ მოსკოვის მედიით მუდმივად ვრცელდება გარკვეული ხასიათის დებულებები,⁹ რომ, მაგალითად, საქართველო უნდა დარჩეს რუსეთთან, თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, 200-წლიანი საერთო ისტორიისა და ერთმონუმენტურობის გამო; რომ ქართველები და რუსები მეგობარი ხალხებია და მხოლოდ საქართველოს მთავრობა ღალატობს ამ მეგობრობას, ეწინააღმდეგება ისტორიულად ჩამოყალიბებულ ლოგიკას და ცდილობს საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდან გაიყვანოს; რომ რუსეთი არასოდეს გაუშვებს საქართველოს, რომ შეუერთდეს ნატოსა და ევროკავშირს და გაანადგურებს საქართველოს, თუკი იგი არ დაჰყვება მოსკოვის სურვილს; რომ დასავლეთი არ არის შესაფერისი პარტნიორი და საქართველოს მხოლოდ ილუზიები აქვს თავისი დასავლურ პერსპექტივებთან დაკავშირებით.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოსკოვს ბოლომდე არ სჯერა რბილი ძალის კლასიკური ინსტრუმენტების, როგორცაა ენა, კულტურული გავლენა და ა.შ., ეფექტიანობისა. მოსკოვი სულ უფრო მეტად იყენებს გამანადგურებელ პროპაგანდასა და საინფორმაციო ბრძოლას როგორც კი ამისთვის დროსა და ადგილს გამოიხატავს.¹⁰ მოსკოვის მოსაზრებებია, რომ დასავლეთი არის მტერი და უნდა

9 იგივე ავტორები საქართველოს განიხილავენ „რუსული მსოფლიოს“ ნაწილად. ამის შესახებ იხ.: Юрий Сошин. «Грузия-часть Русского мира» Russkie.org. 08.12.12.

10 მოსკოვის დეზინფორმაციული ომის თავისებურებების შესახებ იხ.: Paul Goble. Lies, Damned Lies and Russian Disinformation. The Jamestown Foundation. August 13, 2014.

რუსეთის განადგურება; რომ დასავლეთში მიმდინარეობს დეგრადაციის პროცესი; რომ შეუძლებელია დასავლეთის შემდგომი განვითარება; რომ იგი ჩაფლულია ცოდვებსა და სიბინძურეში; რომ რუსეთი ზნეობრივად სუფთაა და შეუძლია თავის გარშემო მსოფლიოს ჯანმრთელი ძალების გაერთიანება, მათი, ვისაც აღეგებს ჭეშმარიტი ადამიანური ფასეულობები; რომ დასავლური დემოკრატია მხოლოდ მითი და ტყუილია; რომ დასავლეთი დანაწევრებულია; რომ რუსეთის ქმედებები კანონიერია და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მოსკოვი ძალიან აქტიურად ეწევა ანტიდასავლურ პროპაგანდას და ცდილობს გავლენა მოახდინოს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებზე, რომ ამით რეგიონში თავისი პოზიციები გაამყაროს.

2008 წელს საქართველოსთან ომის შემდეგ პიკს მოსკოვურმა პროპაგანდამ კვლავ 2014 წელს, უკრაინის მოვლენების დროს, მიაღწია. უკრაინის საწინააღმდეგო ინფორმაციულ ბრძოლაში მოსკოვი სხვადასხვა აზრებსა და დებულებებს მიმართავდა: რომ არსებობს სლავური თუ რუსული სამყარო და რომ უკრაინა მისი განუყოფელი ნაწილია; რომ დიდი სამამულო ომი გრძელდება, რომ უკრაინაში ფაშიზმი ჯერ არ დამარცხებულა და რომ სტეფან ბანდერას მიმდევრებს, უკიდურეს ნაციონალისტებსა და ფაშისტებს, ვინც მართავს კიევს, უნდათ დაანაწევრონ ერთიანი სლავური (რუსული) ნაცია და დაასუსტონ რუსეთი; რომ უკრაინის მოვლენები შთაგონებულია დასავლეთისგან და რომ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთში შეთქმულებაა; რომ რუსეთის ქმედებები ლეგიტიმურია, რომ სიმართლეს ამბობს რუსეთი, დასავლეთი კი ტყუის; რომ ევრაზიანიზმი არის სწორი ნაბიჯი რუსეთის, უკრაინისა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების უკეთესი მომავლისაკენ; რომ უკრაინა ევრაზიული კავშირის მნიშვნელოვანი ნაწილია და რომ დასავლეთსა და უკრაინელ ფაშისტებს უნდათ მისი დაშლა; რომ დასავლეთი განუდგა ღმერთს და დაკარგა თავისი მორალური ფასეულობები.

ამ მოსაზრებებს რუსეთის მედია „ავრცელებს“ აუდიტორიის სეგმენტაციისა და ნარატივების კონტროლით. ინფორმაციული კამპანიის საწარმოებლად ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებად გამოიყენება რუსეთის სატელევიზიო არხები.

პარალელურად, სინქრონიზებული შეტყობინებების დასაგზავნად და ფართომასშტაბიანი მასობრივი გაყალბებისათვის ასევე გამოიყენება არასამთავრობო ორგანიზაციები, თანამემამულეთა ორგანიზაციები, ექსპერტები და სოციალური მედია. სოციალურ მედიაში მოსკოვი საკმაოდ ეფექტურად იყენებს ე.წ. „ტროლების

ფერმებს“, რომლებიც მოსკოვურ პროპაგანდას აქტიურად ავრცელებენ ინტერნეტში. ინტერნეტში სოციალური ქსელები იქცა ბრძოლის დიდ ველად, სადაც მოსკოვი სულ უფრო აქტიური ხდება.

რუსეთში მედიას მთავრობა აკონტროლებს და ამდენად კრემლისათვის ადვილია საინფორმაციო ომისა თუ პროპაგანდისტული ბრძოლის წარმართვა. მედიის საკონტროლებლად მოსკოვი კრემლში ყოველკვირეულ შეხვედრებს მართავს მედიის ხელმძღვანელებთან, გამოყოფილი აქვს სპეციალური ბიუჯეტი, აკონტროლებს მედიის მუშაკებს და აწესებს გარკვეულ აკრძალვებს.

მოსკოვმა საკმაოდ წარმატებით გამოსცადა თავისი პროპაგანდისტული საშუალებები საქართველოს წინააღმდეგ და შეძლო კიდევ დაენაწევრებინა ჩვენი ქვეყანა.

პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში საბჭოთა მემკვიდრეობის, რუსული პროპაგანდისა და რეაქციული სამღვდელოების ნეგატიური როლის დამსახურებით დღესაც ნაყოფიერი ნიადაგია ანტიდასავლური დამოკიდებულებებისათვის. ნათელია, რომ პროპაგანდა ვერ გამოიღებს შედეგს, თუ არ ეყოლება მსმენელი, ასეთი მსმენელი კი რუსულ პროპაგანდას ჯერ კიდევ ჰყავს. რუსულ პროპაგანდას აქვს მსოფლიო პოლიტიკის გარკვეული ხედვა, რომლის მიხედვითაც რუსეთი არის დასავლეთის, განსაკუთრებით კი აშშ-ის შეთქმულების მსხვერპლი. ეს მიდგომა გათვლილია უფრო შიდა, პოსტსაბჭოთა „მონმარებაზე“. მოსკოვის გლობალური პროპაგანდა კი, ტელევიზია *Russia Today*, უფრო ავრცელებს ხედვას, რომ დასავლეთი ადგას დეგრადაციის გზას, რუსეთი კი მიემართება ნათელი მომავლისაკენ.

რუსული მედია და ადგილობრივი, რუსეთზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები და ჯგუფები ლაპარაკობენ, რომ ევროპული ინტეგრაცია არანაირი სარგებლის მომტანი არ იქნება საქართველოსთვის და წარმოადგენს საფრთხეს საქართველოს კულტურისათვის. ისინი ბრალს სდებენ საქართველოს მთავრობას, რომ ეწინააღმდეგება ქვეყნის რუსეთთან ინტეგრაციას.

ამრიგად, ჩამოყალიბდა გარკვეული „ალტერნატიული რეალობა“, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე რუსეთში და პოსტსაბჭოთა სივრცის ბევრი საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე. პოსტსაბჭოთა ადამიანებისათვის სავსებით უცხო არაა პროპაგანდისა და ტვინის გამორეცხვის გავლენის ქვეშ მოხვედრა. საბჭოთა გამოცდილება ნოყიერი ნიადაგია ტვინის გამორეცხვის თანამედროვე მეთოდებისთვის.

აღსანიშნავია, რომ რუსული ენა საქართველოში კვლავაც რჩება ეთნიკურ უმცირესობებთან (რომელიც დაახლოებით მოსახლეობის 20 პროცენტია), სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფსა თუ

აუდიტორიასთან (სქართველებს, აზერბაიჯანელებს, სომხებსა და რუსებს სორის) ურთიერთობის ენად. სახელმწიფოს ურთიერთობა უმცირესობებთან არის ეროვნული უსაფრთხოების საკითხი! ახალგაზრდებში უკვე ბევრმა აღარ იცის რუსული, თუმცა საშუალო ასაკისა და ხანდაზმულები რუსულად კარგად ლაპარაკობენ და რუსულენოვან მედიასაც იყენებენ (უმეტესწილად ტელევიზიას).

წინა მთავრობის დროს საქართველოში შეიქმნა რუსულენოვანი სატელევიზიო არხი „პიკი“, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე, 2012 წლის ოქტომბერში, დახურა. ეს თითქოს მოსკოვის გალიზიანების თავიდან ასაცილებლად გაკეთდა, როგორც ჩრდილოელი მეზობლისაკენ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯი. ტელევიზია „პიკი“ საკმაოდ კარგად მუშაობდა და იყო როგორც საქართველოში რუსულენოვანი საზოგადოების ინფორმაციის წყარო, ისე კონტრპროპაგანდისტული მედიასაშუალება. „პიკი“ პოპულარული იყო ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში და სძულდა კრემლს. „პიკი“ შედიოდა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებლობაში და ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მაღალპროფესიონალმა ტელეჟურნალისტებმა და ალტერნატიულმა ხედვამ ტელეარხს დიდი პოპულარობა მოუტანა.

სამწუხაროდ, ძირითადად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ საქართველოს რეგიონებში (განსაკუთრებით ჯავახეთში, სადაც უმთავრესად ეთნიკურად სომეხი მოსახლეობაა) არაქართველების უმეტესობა არ არის კარგად ინტეგრირებული და ჩართული საქართველოს სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის მთავარი მიზეზია სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე. ამის გამო არიან ისინი ნაკლებად ჩართული ადგილობრივ პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ქართული ენის არცოდნა ასევე მიზეზი, რომ ისინი საშინაო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიან. ტელევიზია „პიკი“ ავსებდა ინფორმაციულ ვაკუუმს, რაც დღეს რუსეთისა და სხვა მეზობლების სატელევიზიო არხებით ივსება. ეს ვითარება შეიძლება მივიჩნიოთ ეროვნული უსაფრთხოების პრობლემად.

ანტიდასავლურ მედიასაშუალებად თუ სატელევიზიო სადგურად შეიძლება განვიხილოთ საქართველოში მოქმედი მხოლოდ ერთი სატელევიზიო არხი – „ობიექტივი“ და ამავე სახელწოდების რადიოსადგური. აქვე ვახსენებთ ერთ ტელევიზიას, რომელსაც რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი აფინანსებს და რომელსაც უკავია ისეთი პოზიცია, რომელიც თავისუფლად აქცევს მას ანტიდასავლურ სატელევიზიო არხად. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 11 ნოემბრიდან საქართველოში ამუშავდა რუსული რადიოსადგური

„სპუტნიკი“, რომელიც ქართულ ენაზე მაუწყებლობს და მოსკოვის პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება.

ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიაშიც არსებობს როგორც გამოკვეთილად ანტიდასავლური, ისე პრომოსკოვური დამოკიდებულებებიც კი, რაც ბადებს ეჭვს, რომ მათი დაფინანსება საქართველოს ფარგლებს გარედან მოდის. ერთ-ერთი ამგვარი, ძალიან პოპულარული ტაბლოიდაა „ასავალ-დასავალი“. ელექტრონული მედიიდან შეიძლება გამოიყოს „საქართველო და მსოფლიო“ – ღიად პრომოსკოვური და ანტიდასავლური მედიაგამოცემა. ეჭვგარეშეა, რომ მისი ფინანსური უზრუნველყოფაც ჩრდილოეთიდან მომდინარეობს.

როგორც ჩანს, მოსკოვი სერიოზულად ფიქრობს საქართველოში რბილი ძალის უფრო ეფექტურად გამოყენებას. მისი „ახალი მიდგომის“ ნიშნები აშკარად შეიმჩნევა. გამოჩნდა ახალი არასამთავრობო ორგანიზაციები და ჯგუფები – ცნობილი ევრაზიული კავშირის ქართული განშტოება, რომელიც ეწევა ანტიდასავლურ და ნატოს სანინალმდეგო პროპაგანდას. ეს ჯგუფები თავის რუს ანალოგებთან ერთად აწყობენ ქართველი და რუსი ახალგაზრდობის შეხვედრებს, ქართველ ახალგაზრდებს ინვევენ რუსეთში, რათა შეიქმნას მეგობრული რუსეთის დადებითი იმიჯი და ქართველებმა იგრძნონ, რომ საქართველოსთვის ერთადერთი არჩევანია იყოს რუსეთის გვერდით. რუსეთისათვის ანტიდასავლურ ქმედებებში ხელის შემშლელია საქართველოსთან განყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობები. უნდა ითქვას, რომ საქართველოში არსებული დემოკრატიული მედია უფრო მეტ ყურადღებას უთმობს საშინაო პოლიტიკურ პროცესებს და ა.შ. და არ მიიჩნევს რუსულ პროპაგანდას მნიშვნელოვნად და აქტუალურად. საქართველოს მთავრობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს ჩრდილოეთიდან წამოსული ტყუილისა და დეზინფორმაციის განეიტრალებას. საქართველო არის დემოკრატიული ქვეყანა, სადაც არის გამოხატვის თავისუფლება და ამიტომაც არ არის ადვილი ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ეფექტური ზომების მიღება. თუმცა უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ მთავრობამ ამ პრობლემასთან გასამკლავებლად გარკვეული სტრატეგია უნდა შეიმუშაოს.

მოსკოვის დეზინფორმაციული აგიტაცია – მისი უმთავრესი პოლიტიკური დღის ნესრიგი – სერიოზული გამოწვევაა ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის.¹¹ ჩვენმა მთავრობამ ამას

11 ამასთან დაკავშირებით იხ.: Mariam Tsatsanashvili: “Russian Media and Georgia.” In *Soft Power: The New Concept of Russian Policy toward Georgia*. Tengiz Pkhaldze (Editor). Mtatsmindeli, Tbilisi, 2010, pp. 69-76.

გაცილებით დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რომ გაანეიტრალოს და უკუაქციოს ჩრდილოეთიდან მომდინარე დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული შეტევები. სანამ ძალიან გვიანი არ იქნება, ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ და გავავრცელოთ მოსკოვის პროპაგანდისტული ქმედებების საპასუხო შეფასებები და მივიღოთ ზომები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

დასკვნა

დღეისათვის საქართველოში გვყავს ოთხი ტიპის მსმენელი: ქართველი, რუსულენოვანი, აზერბაიჯანელი და სომეხი. განსაკუთრებით საყურადღებოა მსმენელები ორი გამოყოფილი რეგიონიდან – აფხაზები და ოსები, რომელთათვისაც აღარ არსებობს არც რუსულენოვანი სატელევიზიო არხი და არც ყოველდღიური გაზეთი.

პრესის თავისუფლება ნიშნავს, რომ გარკვეული გაზეთები და ელექტრონული მედია ენევა ანტიდასავლურ და „შეპარვით“ პრორუსულ პროპაგანდას, რაც არ შეესაბამება ჩვენი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ამოცანებს.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მედიასაშუალებებს შორის ნამყვანი პოზიცია უკავია ტელევიზიას, როგორც ყველაზე გავლენიან იარაღს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისა, ბეჭდური მედიაც, რომელიც ნაწილობრივ იკავებს ინტერნეტს, დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელოვან როლსა და გავლენას.

მსმენელთა რიცხვი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რესურსების რაოდენობაზე. როდესაც დგება ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა, არ არის საკმარისი საბაზრო პრინციპების გამოყენება. ყველანაირი აუდიტორია, ყველაზე პატარაც კი, როგორც საქართველოშია, მაინც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ვფიქრობთ, შესაძლებელია გამოიძებნოს ამ პრობლემის მოგვარების სქემა.

ასევე აუცილებელია არსებობდეს პროპაგანდის საწინააღმდეგო (ამას მავანმა შეიძლება სხვა სახელიც უწოდოს!) ცენტრი, რომელიც ყველა მოქალაქესა და მედიას მიაწვდის ადეკვატურ ინფორმაციას და თავის წვლილს შეიტანს ხალხთა შორის ურთიერთობებში. ეს გამოდგება მტრული პროპაგანდის დამაბალანსებელ იარაღად და შეამცირებს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული რისკებს.

სპეციალური ყურადღება უნდა დაეთმოს მართლმადიდებელი სამღვდლოების რეაქციულ ნაწილს, რომელიც საკუთარ მრევლს ანტიდასავლური პროპაგანდითა და შეთქმულების თეორიებით წამლავს. რუსულ მართლმადიდებელ სამღვდლოებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჩვენს სამღვდლოებაზე და მათ შორის მოკავშირეებსაც პოულობს.¹²

ამრიგად, მოსკოვიდან წამოსული საინფორმაციო ომი სულ უფრო ძლიერდება და იზრდება და საჭიროებს როგორც ადეკვატურ შეფასებას, ისე საჭირო ზომების მიღებას.

12 ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ.: Tengiz Pkhaladze, Giorgi Gvimradze. "The Religion Factor Used by Russia in the Context of 'Soft Power.'" *Soft Power: The New Concept of Russian Foreign Policy toward Georgia*. Tengiz Pkhaladze (Editor) Mtatsmindeli. Moscow, 2010, pp. 91-107.



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

29

**MOSCOW'S INFORMATION CAMPAIGN
AND GEORGIA**

ALEXANDER RONDELI

EXPERT OPINION



2014



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

EXPERT OPINION

ALEXANDER RONDELI

**MOSCOW'S INFORMATION CAMPAIGN
AND GEORGIA**

29

2014



The publication is made possible with the support of the US Embassy in Georgia.

Editor: Jeffrey Morski
Technical Editor: Artem Melik-Nubarov

All rights reserved and belong to Georgian Foundation for Strategic and International Studies. No part of this publication may be reproduced in any form, including electronic and mechanical, without the prior written permission of the publisher.

Copyright © 2014 Georgian Foundation for Strategic and International Studies

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-0-7219-2

Russia in the Post-Soviet Space

What are Russia's goals in its immediate neighborhood? Does it just seek to influence by using its soft power or does it want to dominate the region to have a sphere of influence? This is a choice between post-and neo-imperialism. After the invasion in Georgia, after Crimea and Eastern Ukraine, this question is not difficult to answer.

Russia deals with its neighbors like the former colonies they are. They are not considered fully sovereign states. Russia doubts the ability of its neighboring states to maintain their sovereignty and territorial integrity.

To achieve its goals Moscow uses separatism and irredentist claims in neighboring states to blackmail and, if needed, dismember them. This is evident in Moscow's approach to Moldova, Georgia and Ukraine. Russia uses the keen-state concept as an instrument of foreign policy.

Soft power is a necessary instrument to achieve neo-imperial goals. Moscow's soft power, used against its neighbors, is predominantly based on lie and disinformation.¹

Since the collapse of the USSR Moscow tried keeping the former Soviet republics under its control, inventing integrative schemes and organizations (CIS, CSTO, EURAZES). The CIS project, being the most known, was launched soon after the break-up of the Soviet Union and turned out to be a failure. The Kremlin's problem was how to wrap its imperial goals in economic and ideological clothing that would be acceptable for the former Soviet republics. Most of the post-Soviet states saw the imperialist goals in the Kremlin's integrative activities. Moscow tried to compel its newly-independent neighbors to its will by creating and waging separatism in the so-called "near abroad" and using threats and blackmail as well as economic tools (embargo, sanctions). When the Kremlin considered it necessary, it relied on brutal force like in Moldova, Georgia and, recently, in Ukraine.

The Kremlin never abandoned the idea of keeping its post-Soviet neighbors under control. In the 2000s, the Kremlin demanded from the West the creation of the so-called "new security architecture" and "indivisible security in Europe" which had to give Moscow the Western acceptance of Russia's special rights in the so-called "privileged sphere of interests." The West did not buy that idea but in 2008 and invading Georgia, Russia showed its rivals that it will not let European and Euro-Atlantic structures incorporate Russia's neighbors (except the already incorporated Baltic states).

1 On Moscow's soft power against Georgia see: *Soft Power: The New Concept of Russian Foreign Policy toward Georgia*. Tengiz Pkhaldze (Editor). Mtatsmindeli, Tbilisi, 2010.

Considering the transatlantic alliance internally weak and divided, and seeing Europe as plunged into crisis and indecisiveness as well as strongly dependent on Russia's energy supply, Moscow activated its policy towards its neighbors and tried to pull them into a Kremlin-designed new integrative project (Eurasian Economic Union) which, by the Kremlin's view, could provide conditions for survival for Russia as a great power and integrate the most important post-Soviet states under Moscow's control. The backbone of the Union had to be Russia, Ukraine, Belarus and Kazakhstan.

At the same time, the Russian elite never abandoned its efforts to define a new Russian identity and its role in the changing world and it tried to find an ideological and legal "package" for its imperial objectives. The Russian politico-military elite has already been under the charm of geopolitics for a long time, especially its new imperial Russian version developed mainly by Alexander Dugin. His so-called "neo-Eurasianism" strongly influenced Moscow's post-Soviet national security thinking. There are also other authors whose ideas have strongly influenced the Kremlin's decision-makers. Among them, Piotr Shchedrovitsky, a philosopher actively engaged in developing ideas concerning Russia's future and a way of development, has to be mentioned. He is the author of the powerful imperial concept of the "Russian World" which is to provide Russia with "its due place" in the globalizing world. That concept developed by Shchedrovitsky in 1993-1997 has today become a kind of Bible for Kremlin politicians and propagandists.²

The main direction of Moscow's foreign policy activity is the so-called post-Soviet space in which, according to the "Russian World" concept, live as many Russians as inside Russia proper. Moscow also considers bilingual persons, those speaking and thinking in Russian, as Russians. Thus, many ethnically non-Russians are also included into the category of Russians. This concept means that there is a certain socio-cultural reality in the post-Soviet space, a so-called "civilizational space" which is based on three pillars: 1) Orthodoxy, 2) Russian culture and the Russian language and 3) a common historical memory and common views on societal development. This is a purely imperial expansionist concept masked as a civilizational and cultural project created by the Kremlin to legitimize its actions in the post-Soviet space. One can imagine how masterful propaganda can strengthen these "pillars!" And the Russian media does its best.

² President Putin first mentioned this concept at the end of 2006 at a meeting with Russian *intelligentsia* in St. Petersburg. Soon after, a new foundation, the Russian World Foundation, was created by Putin's Decree No. 796. This Foundation, headed by V. Nikonov, is very generously financed by the Russian state.

In the opinion of the authors of the concept of the “Russian World,” big countries within the situation of globalization should develop either via colonization or at the expense of diasporas. This is how they can adjust to globalization. There is a notion among the advocates of this concept that the Russians and “Russian thinking” people who live outside the country represent the “immune system” of the Russian Federation. What a beautiful name for Moscow’s “fifth column”!

The Russian Orthodox Church plays a big role in the popularization of the idea of the “Russian World.”³ Patriarch Kirill, at a meeting with Moldovan clergymen, declared that “Holy Russia is neither ethnic nor political nor does it have a linguistic term; it is a spiritual term.... This is a unity of values, spiritual orientation which sculpts our spiritual unity and stands above any political borders.”⁴ This is a masterfully disguised imperial vision. The same Kirill in 2009, in his speech to the Assembly of the “Russian World,” mentioned the term “Russian World” a total of 38 times, declaring in geopolitical terms his belief that the united Russian world can become a powerful actor in global politics, more powerful than all sorts of political alliances.

The idea of “divided Russian people, the biggest divided people in the world,” which has the right of reunification, has been introduced by the Kremlin. On March 18, 2014, President Putin, in his appeal to the Federal Assembly of Russia, made this an official view.⁵ On March 7, 2014, Press Secretary of the President of Russia, D. Peskov, commenting on the situation in Crimea, declared that V. Putin is the main guarantor of the Russian world’s security.⁶ He meant that Moscow’s zone of responsibility concerning national security has increased and its boundaries are wider than the Russian Federation’s state boundaries.⁷ Does this not remind us of A. Hitler’s claims about the defense of Germans beyond borders?

Georgia is not a part of the so-called “Russian World,” a concept which is strongly promoted by Moscow and by the practically government-controlled Russian media. Georgia falls into the category of a land of compatri-

3 Геннадий Друзенко. Геополитика от Патриарха: Царство Небесное vs «Русский мир». «Зеркало недели», №44 (772), 14-20/11/2009

4 Патриарх Кирилл: Мы один народ пред богом,» Русская линия. Сводка новостей от 23 Августа 2010. <http://rusk.ru/newsdata.php?idor=43517>

5 Обращение Владимира Путина к федеральному собранию. www.echo.msk.ru/blog/echomsk/1281680-echo/

6 Заявление о ситуации на Украине Пресс-секретаря президента РФ Дмитрия Пескова. 7 марта, 2014, TV Россия 24”

7 Наталия Нарочницкая. Русский мир шире границ самой России. «Русская линия.» 08.10.2007; Игорь Зевелев. Границы Русского мира. Трансформация национальной идентичности и новая внешнеполитическая доктрина России. «Россия в глобальной политике», Март-Апрель 2014

ots and a territory which “naturally” and geopolitically belongs to Russia’s politico-military orbit and which has to remain under Moscow’s control.⁸

Russian propaganda has become an extremely aggressive, well-calculated and effective tool of Moscow’s policy internally and abroad. The main target of Moscow’s propaganda abroad is the post-Soviet space towards which the Kremlin has developed integrative plans that are declared in the country’s main foreign policy and national security documents. Recently, Moscow has developed the already well-known concept of the so-called “Russian World” which has already become a main guideline for the Kremlin in its goal of the creation of a buffer zone around Russia consisting of protectorates and dependent states.

Information War against Georgia

There is no massive propaganda campaign against Georgia like there was before, especially in 2005-2009, during the preparation for invading Georgia, but there are certain narratives concerning Georgia which are constantly spread by Moscow’s media.⁹ These are: Georgia has to stay with Russia because of its geography, the common 200-year history and the common Orthodox religion; the Georgian and Russian people are friendly to each other and only the Georgian governments betray that friendship, going against historical logic and trying to take Georgia out of Russia’s sphere of influence; Russia will never let Georgia go, join NATO and the EU and will destroy Georgia if it does not obey Moscow’s will; the West is not a reliable partner and Georgia is in an illusion about its Western perspective.

It looks like Moscow does not believe too much in the effectiveness of the classical soft power instruments: language, cultural influence, etc. Moscow more and more relies on destructive propaganda and wages information campaigns as soon as it finds it timely and necessary.¹⁰ Moscow’s narratives are the following: the West is the enemy and wants to destroy Russia. The West is in a degradation process, incapable of further development, and plunged into filth and vice. Russia is morally clean and can consolidate around it all of the healthy forces of the world which care about genuine human values. Western democracy is a myth and a failure. The West is divided. Russia’s activities are legitimate, and so on.

8 On the “compatriots” concept concerning Georgia see: The “Compatriot Protection Policy of the Russian Federation and Consular Policy toward Georgia.” In *Soft Power: The New Concept of Russian Foreign Policy toward Georgia*. Tengiz Pkhaladze (Editor). Mtatsmindeli, Tbilisi, 2010, pp. 52-63.

9 Some Russian authors consider Georgia as a part of the “Russian World.” See: Юрий Сошин. «Грузия-часть Русского мира» Russkie.org. 08.12.12.

10 On the specifics of Moscow’s disinformation campaigns see: Paul Goble. Lies, Damned Lies and Russian Disinformation. The Jamestown Foundation. August 13, 2014.

To achieve its political goals, Moscow actively conducts a propaganda war against the West and tries to influence post-Soviet states in order to strengthen Russia's position in the region.

After the 2008 war with Georgia, Moscow's propaganda intensity reached its peak in 2014 during events in Ukraine. Moscow used the following contextual and campaign narratives in the information campaign against Ukraine: there is a Slavic or a Russian world and Ukraine is an inseparable, integral part of it; the Great Patriotic War continues, fascism in Ukraine is not defeated yet and Stepan Bandera's followers, extreme nationalists and fascists, who rule in Kyiv, want to divide one Slavic (Russian) nation and weaken Russia; Ukrainian events are masterminded in the West and it is a Western conspiracy against Russia; Russian activities are legitimate, Russia speaks the truth and the West lies; Eurasianism is the right step toward the better future for Russia, Ukraine and other post-Soviet countries; Ukraine is an important part of that Union and the West and Ukrainian fascists want to destroy it. The West has strayed away from God and has lost its moral values.

These ideas are "transmitted" by Russian media through audience segmentation and narrative control. As the most important instruments of the information campaign, Russian nationwide TV channels are used.

At the same time NGOs, compatriot organizations, experts and social media are used for synchronized messaging and massive falsification on a large scale. In social media, Moscow effectively uses so-called "troll farms," actively spreading Moscow propaganda on the internet. Social networks have turned into a large battlefield on the internet in which Moscow is more and more active.

Media in Russia is under the control of the government and conducting an information war or a propaganda campaign is relatively easy for the Kremlin. For controlling the media, Moscow uses weekly meetings at the Kremlin for media leaders, providing special budget, controlling media personnel and introducing certain restrictions.

Moscow has successfully tested its propaganda against Georgia and managed to dismember our country.

There is still enough fertile soil for anti-Western attitudes in post-Soviet societies because of the remnants of the Soviet legacy, Russian propaganda and the negative role of the reactionary segment of the clergy. It is clear that propaganda cannot be effective without an acceptable audience and that audience is still there. Russian propaganda comes with a certain vision of world politics in which Russia is a victim of a Western, especial-

ly US, conspiracy. It is more for internal and post-Soviet “consumption.” Moscow’s global propaganda Russia Today TV relies more on the vision in which the West is in the process of degradation and Russia is moving towards a bright future.

Russian media and local Russia-oriented NGOs and groups talk about the uselessness of European integration for the Georgian economy and the danger for local culture and blame the Georgian government for not integrating with Russia.

A certain “alternative reality” has been created which seriously influences public opinion in Russia and to a certain extent many societies in the post-Soviet space. It is not a completely unknown experience for the post-Soviet human being to be influenced by propaganda and brainwashing. Soviet experience serves as fertile soil for modern brainwashing.

The Russian language remains the lingua franca for the majority of ethnic minorities (around 20 percent of the population) in Georgia as well as the communication instrument between different ethnic groups and audiences (Georgian, Azerbaijani, Armenian, Russian.) State-minority relations are a national security issue! Many among the young generation do not know Russian but middle and old age people still speak Russian and use the Russian language media (mainly TV).

During the previous government, the Russian language TV channel (PIK TV) was created but it was closed down as soon as the new leadership came to power in Georgia in October of 2012. It was done presumably “not to irritate” Moscow and as a positive step towards our northern neighbor. PIK TV performed quite well and served as a source of information for the Russian-speaking population in Georgia but also as a counter-propaganda media outlet. PIK TV was also popular in the post-Soviet space and was hated by the Kremlin. PIK TV was a part of the Georgian Public Broadcaster and financed from the state budget. Because of a quite high quality of TV journalism and its alternative view, the TV station gained popularity.

Unfortunately, in the regions of Georgia mainly populated by ethnic minorities (particularly in Javakheti, predominantly populated by ethnic Armenians), the majority of non-Georgians are not well integrated and involved in Georgia’s socio-cultural and political life. The main reason of that is a very low level of the knowledge of the state language. This is also the main reason for their ignorance of local political and cultural life and their lack of information about internal politics. Previously, PIK TV filled the informational gap but, today, it is replaced by Russian and other neigh-

boring countries' TV channels. This situation can be defined as a national security issue.

Only one TV channel (Objektiv) and the radio station with the same name can be considered as an anti-Western media outlet although one more TV station, because its financing is provided by a Russian-based Georgian businessman, takes the position which can also be easily transformed into an anti-Western TV channel. It has to be emphasized, that since November 11th, 2014, Russian radio station "Sputnik" which broadcasts in Georgian and serves Moscow's political interests, was launched.

Among printed and electronic media there are some which are clearly anti-Western and even pro-Moscow and one may suspect that they are financed from abroad. One of them is a very popular tabloid, *Asavali Dasavali*. One representative of the electronic media, the notorious *Georgia and the World*, is openly pro-Moscow and anti-Western. Its financial support without doubt comes from the North.

Moscow is seriously thinking about using its soft power more effectively in Georgia. There are signs of this "new approach." There are some new NGOs and groups like the Georgian branch of the notorious Eurasian Society which conduct anti-NATO and anti-EU propaganda, popularize the so-called Eurasianism, organize anti-Western and anti-NATO rallies, etc. These groups together with their Russian counterparts organize meetings of Georgian and Russian youth, invite groups of Georgian youth to Russia in order to create a friendly and positive image of Russia and make Georgians feel that staying with Russia is the only option for Georgia. The lack of diplomatic relations with Georgia to a certain extent limits Russian anti-Western activities in Georgia. It is important to stress that the democratic media in Georgia pay more attention to internal political processes, etc., and does not consider the handling of Russian propaganda as an actual and necessary task. One can say that the Georgian government does not pay enough attention to the neutralization of the lies and the disinformation coming from the North. Georgia is a democratic country with freedom of expression and because of that taking effective measures against anti-Western propaganda are not easy to organize. The events in Ukraine once more show us that the government has to develop a certain strategy for dealing with this problem.

Moscow's disinformation campaign, advancing political agenda, is a serious national security challenge for our country.¹¹ Our government needs to pay much more attention to it and acquire the capacity to neutralize

11 On this issue see: Mariam Tsatsanashvili: "Russian Media and Georgia." In *Soft Power: The New Concept of Russian Policy toward Georgia*. Tengiz Pkhaladze (Editor). Mtatsmindeli, Tbilisi, 2010, pp. 69-76.

and counteract disinformation and propaganda coming from the North. Before it is too late, we have to develop the expertise and measures to counteract Moscow's propaganda campaign at home and, as much as possible, abroad.

Conclusion

Today, there are four media audiences in Georgia: Georgian, Russian-speaking, Azerbaijani and Armenian. Abkhaz and Ossetian audiences in the two breakaway regions also need special attention. There is no nationwide TV channel or daily newspaper in Russian.

Freedom of the press means that certain newspapers and electronic media conduct anti-Western and "mild" pro-Russian propaganda which is not compatible with our state's internal and foreign policy goals.

Despite the fact that TV, from among media, maintains a leading position as the most influential instrument of manipulating public opinion, printed media, partly occupying the internet, still has a certain role and influence.

The size of the audience greatly defines the amount of resources. When it comes to the problem of national security, it is not appropriate to use market principles. Each audience, even a small one, as it is in Georgia, still needs special attention. It is a solvable problem to find an optimal scheme.

There is also the necessity of a counterpropaganda (one can call it differently!) center which will offer adequate information to all citizens and media and serve as a positive contributor to interethnic relations. It will serve as a balancing tool to hostile propaganda, lowering national security risks.

Special attention has to be paid to the reactionary part of the Orthodox clergy, poisoning their parish by anti-Western propaganda and conspiracy theories. The Russian Orthodox Church maintains quite a significant influence on our clergy among which it even finds allies.¹²

The information war, emanating from Moscow, is gaining momentum. Consequently, it has to be dealt with using adequate expertise and measures.

12 On this issue in detail see: Tengiz Pkhaldze, Giorgi Gvimradze. "The Religion Factor Used by Russia in the Context of 'Soft Power:'" In *Soft Power: The New Concept of Russian Foreign Policy toward Georgia*. Tengiz Pkhaldze (Editor) Mtatsmindeli. Moscow, 2010, pp. 91-107.